ხელოვნება

6

მოსწავლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ნანა იოსელიანი ◆ სოფიო ქებურია

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

I შესავალი

მასწავლებლობანა 4

II ელემენტები და პრინციპები

შუქ-ჩრდილი 6
ბუნებაზე დაკვირვება 8
ფორმა 10
ჩუქურთმა. 12
სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიცია . 14
წონასწორობა 16
მასშტაბი 20
სტატიკა და დინამიკა. 22
ოქროს კვეთა 24
კომპოზიცია. 28
ოქროს სტატირი 30
დედალოსი და იკაროსი 32
კონფერენცია „მსოფლიოს შედევრები“ 34

III ჟანრები

ნატურმორტი. 42
პოზა. 46
პორტრეტი ძაფით 48
ზამთრის პასტორალი 50
ზამთრის პეიზაჟი 52
პლაკატი 56
მერაბ აბრამიშვილი 58

IV ტექნიკა

აპლიკაცია 60
დეკუპაჟი 62
ისევ დეკუპაჟი 64
გრატაჟი 65
ჩინური განძი 66
დავით კაკაბაძის კოლაჟები 68
„ტრიალებს, ბრუნავს...“ 72
ექსლიბრისი 74
შრიფტის დიზაინი 78
გერბი და ჰერალდიკა. 80

V პროფესია

ანტიკვარი. 82
პროფესია – გალერისტი 84
პროფესია – კურატორი 86
განთქმული ფალსიფიკატორი. 88

VI ისტორიები

როგორ შენდებოდა ეკლესიები 92
ბერძენი მეთუნეები 96
მამაის ტონდო 100
ბაბილონის გოდოლი 102
ფაიუმის პორტრეტი. 106
გაზაფხული 108
ლეონარდოს ჩანახატები. 110
ლეონარდოს ოინი. 112
ჯორჯონე თუ ტიციანი? 114
იპოვე განსხვავება 118
დეტექტივობანა 122

ძველი ეგვიპტელები ფარაონს სხვებზე დიდი ზომისას ხატავდნენ, მისი სიდიადისთვის რომ გაესვათ ხაზი. სხეულის ნაწილებს სხვადასხვა მხრიდან გვიჩვენებდნენ. ეგვიპტურ ნახატებში არც ჩრდილია და არც მოცულობა. პომპეის მხატვრები კი შუქ-ჩრდილსაც იყენებდნენ და ხაზოვან პერსპექტივასაც, მოცულობასაც გადმოსცემდნენ და ფაქტურასაც.

ახალმა სარწმუნოებამ, ქრისტიანობამ, ყველაფერი შეცვალა – მიწიერი სამყაროს ნაცვლად ღვთაებრივი სულიერების ასახვა დასჭირდა. ხელოვანებმა მანამდე შემუშავებული ხერხები უარყვეს და ბრტყელი, უხორცო, **დისპროპორციული** (ზომებდარღვეული) ფიგურები ღვთაებრივ ოქროსფერ ფონზე განათავსეს, ხედვის წერტილებიც აურდაურიეს და მასშტაბებიც.

XIV საუკუნიდან აღორძინების ეპოქა კვლავ დაინტერესდა რეალური სამყაროთი. მხატვრებმა ადამიანისა და გარემოს დამაჯერებლად გადმოცემის მხატვრული ხერხები ააღორძინეს და განავითარეს. გავიდა დრო და ეს მონაპოვარიც თავდაყირა დადგა.

იმპრესიონისტების შესახებ კრიტიკოსები წერდნენ, რომ მათი ნამუშევრები ჭუჭყიანი ფერების ფაფას ჰგავდა, რომ ტილოზე დაუდევრად ატყეპებდნენ მონასმებს და საერთოდაც, ხატვა არ იცოდნენ. ცოტა ხანში იმპრესიონიზმი ხელოვნების თაყვანისმცემელთა ერთ-ერთი უსაყვარლესი მიმდინარეობა გახდა.

ასე ხდება: ახალ დროს ახალი სათქმელი მოაქვს, ახალ სათქმელს კი – განსხვავებული მხატვრული ხერხები.

წარმოიდგინე, რომ ხელოვნების მასწავლებელი ხარ. შენი მოსწავლეები უკვე ცნობილი მხატვრები არიან. მათი ნამუშევრები უნდა შეაფასო, მონაცემებს დააკვირდე და დასკვნა გამოიტანო – ვინაა საუკეთესო მოსწავლე და ვინ – შედარებით სუსტი.

აი, შეფასების კრიტერიუმებიც:

1. იყენებს ფერის გრადაციას;
2. შუქ-ჩრდილით გადმოსცემს ფორმას;
3. იცავს სწორ პროპორციებს;
4. იცავს მასშტაბურ თანაფარდობას;
5. იცავს პერსპექტივის კანონებს.

ჟიან მირო

ფრანსისკო გოია

„მოსწავლეთა“ სია:

1. ახვლედიანი ელენე
2. გეკო ოგატა
3. გოია ფრანსისკო
4. დიურერი ალბრეხტი
5. ვერმეერი იანი
6. კორტე ადრიანი
7. მატისი ანრი
8. მირო ჟოანი
9. მოდილიანი ამედეო
10. მონე კლოდი
11. პიკასო პაბლო
12. პისარო კამილი
13. ტერნერი უილიამი
14. ჰოკუსაი კაცუსიკა

ალბრეხტ დიურერი

გეკო

კამილ პისარო

ელენე ახვლედიანი

ადრიან კორტე

პაბლო პიკასო

უილიამ ტერნერი

კაცუსიკა ჰოკუსაი

მატისი

კლოდ მონე

იან ვერმეერი

ამედეო მოდილიანი

- რომელმა მხატვარმა მიიღო დაბალი შეფასება?
- მაშ, რატომ არის ის ბევრისთვის საყვარელი მხატვარი?
- როგორ ფიქრობ, ამ მხატვრებმა წესები არ იცოდნენ თუ განგებ დაარღვიეს ისინი?
- რა ხერხებს იყენებდნენ იდეის, გრძნობის ან შთაბეჭდილების გადმოსაცემად?
- რომელმა მხატვარმა მიიღო ყველაზე მაღალი შეფასება? ნიშნავს ეს იმას, რომ ის სხვებზე უკეთესია?
- რა შეფასებები მიიღო შენმა საყვარელმა მხატვარმა? რას ფიქრობ ამის შესახებ?
- რა საჭიროა წესები, თუ ხელოვანს მათი დარღვევა შეუძლია და მისი ნამუშევარი მაინც შედევრია?

დანტე ალიგიერი

სერგო ქობულაძე.
ავტოპორტრეტი

1937 წელს რუსთაველის პოემის 750 წლის აღმნიშვნელი იუბილისთვის დაგეგმილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ახალი წიგნის გამოცემა. ორი წლით ადრე, საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციაზე დიდი კონკურსი გამოცხადდა. გამოცემისათვის ნახატები რამდენიმე ქართველმა მხატვარმა: ლადო გუდიაშვილმა, თამარ აბაკელიამ, ირაკლი თოიძემ და 26 წლის სერგო ქობულაძემ შეასრულეს. სერგო ქობულაძის მიერ შექმნილი ნახატები დღესაც „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო ილუსტრაციად ითვლება.

დააკვირდი და შეადარე ერთმანეთს სერგო ქობულაძის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები და მისივე გრაფიკული პორტრეტები.

? რა ხერხით გადმოსცემს მხატვარი ფორმათა მოცულობას?

სახელოსნო

- **2 სახატავი ფურცელი**
- **სახატავი ფურცლის სიგრძეზე მოჭრილი ვიწრო ზოლი**
- **სკოჩი ან წებო**
- **უბრალო, რბილი ფანქარი**

1. დაახვიე თეთრი ქაღალდის ზოლი, მიეცი მას საინტერესო ფორმა.
2. დახვეული ქაღალდის ბოლოები დააწებე თეთრ სახატავ ფურცელზე ისე, რომ დახვეულმა ქაღალდმა ფორმა არ დაკარგოს.
3. მოუძებნე ქაღალდის ფიგურას საინტერესო რაკურსი.
4. დააკვირდი, რა ადგილებზე აქვს დახვეულ ქაღალდს ჩრდილები, სად არის ყველაზე მუქი ჩრდილი, რომელი ადგილია ყველაზე ნათელი.
5. შეადარე დახვეული ფორმის ჩრდილები ფურცელზე დაცემული ჩრდილის სიმუქეს.
6. დააკვირდი ფიგურას, სახატავ ფურცელზე გადმოიხატე კონტურით მისი ფორმა და შტრიხებით გაუკეთე ჩრდილები.





საშინაო დავალება

მოიფიქრე მოკლე ამბავი თემაზე „ურჩი ჩრდილები“.

ორად მოკეცილი ფურცლის ერთ გვერდზე დახატე შენი ამბის ილუსტრაცია, მეორე გვერდზე კი ლამაზად დაწერე ილუსტრაციის შესაბამისი ტექსტი.

ფურცლები აკინძე და გაკერე, ან დაამაგრე სტეპლერით.

იმისთვის, რომ აკინძვისას არ აირიოს ილუსტრაციების თანმიმდევრობა, ჯერ ორად მოკეცილი ფურცლები ჩაალაგე ერთმანეთში და მონიშნე, თუ რომელ გვერდზე დაიხატება ნახატი და რომელზე განლაგდება შესაბამისი ტექსტი.

აღორძინების ხანის გერმანელი ფერმწერი ალბრეხტ დიურერი (1471-1528 წწ.) ხშირად მუშაობდა პლენერზე ანუ ღია ცის ქვეშ, აკვირდებოდა ბუნებას და საოცარი სიზუსტით ასახავდა მცენარეებს, ცხოველებსა და მწერებს. აკვარელით შესრულებულ ამ ნახატებს დღემდე იყენებენ საილუსტრაციოდ ბოტანიკის სამეცნიერო კვლევებისა და ენციკლოპედიურ გამოცემებში. მას შემდეგ, ბუნებაზე მეცნიერული დაკვირვებისთვის, მიკროსკოპიდან ტელე-სკოპამდე მრავალი ხელსაწყო შეიქმნა, მაგრამ დიურერის ნახატები თავისი სიზუსტით ყველა ამ გამოგონებას უწევს კონკურენციას.

ალბრეხტ დიურერის მცენარეები

დააკვირდი და ამოიცანი შენთვის ცნობილი მცენარეები – ზამბახი, ბაია, გვირილა, ია, ფარსმანდუკი, მრავალძარღვა, ბაბუაწვერა და სხვა.



ალბრეხტ
დიურერის
პეიზაჟი

სახელოსნო

- უბრალო ფანქარი
- აკვარელის ქაღალდი
- აკვარელის საღებავები
- ფუნჯი
- ჭიქა წყალი

1. მეგობრებთან ერთად გადი პლენერზე, შეარჩიე რომელიმე მცენარე. დააკვირდი, რა ფერია, როგორი ღერო, ფოთლები და ყვავილი აქვს.
2. დახატე მცენარე ჯერ ფანქრით, შემდეგ კი გააფერადე აკვარელის საღებავებით. ღია ადგილების დასაფერად იხმარე მეტად წყლიანი საღებავი – უფრო ღია და გამჭვირვალე ფერს მიიღებ.
3. სახატავ რვეულში ნახატის გვერდით ჩააკარი ამ მცენარის ფოტოც .
4. გაიხსენე ბუნების საგანში ნასწავლი მასალა, ჰკითხე მასწავლებელს, მოიძიე ინფორმაცია ენციკლოპედიებსა და ინტერნეტში და დაადგინე ამ მცენარის სახელწოდება.
5. ლამაზი კალიგრაფიით მიაწერე ნახატს მცენარის სახელწოდება.
6. აკინძე შენი და მეგობრების ნამუშევრებით კლასის საერთო ჰერბარიუმი.

ორგანული (ბუნებრივი)

სანდრო ბოტიჩელი

ანრი მატისი

გუსტავ კლიმტი

ჟოან მირო

გეომეტრიული

კაზიმირ მალევიჩი

პიტ მონდრიანი

პაულ კლეე

რობერ დელონე

პაბლო პიკასო

გეომეტრიული — **ორივე** — **ორგანული (ბუნებრივი)**



ფორმების კონტრასტი

ელ ლისიტსკის
პლაკატი

გუსტავ კლიმტის „კოცნა“
მამაკაცური ქალური

პაბლო პიკასოს
„გოგონა ბურთზე“

პიკასოს სურათზე ერთის მხრივ გვაქვს სფეროს არამყარი ფორმა და გოგონას სუსტი, მსუბუქი, მოქნილი, გაღუნული სხეული. ის მოძრაობს, ცდილობს, წონასწორობა დაიცვას, მაგრამ შეიძლება დაეცეს. მისი უსაფრთხოების, სტაბილური არსებობის გარანტი მხოლოდ ეს ახალგაზრდა, ღონიერი მამაკაცია.

მეორეს მხრივ – მდგრადი კუბი და ზედ მჯდომი მამაკაცის მძიმე, მძლავრი, ღონიერი, დაკუნთული სხეული. მამაკაცი თავადაც კუბის ერთიანი ბლოკის ფორმას ემსგავსება. გოგონასგან განსხვავებით, ის მყარად, სტატიკურად ზის.

ფორმის თანმიმდევრული განმეორებით იქმნება სახვითი ხელოვნების პრინციპი:

ორნამენტი

მეანდრი
(ბერძნული)

მანდალა
(ინდური)

არაბესკა
(ისლამური)

ჩუქურთმა
(ქართული)